საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3931/01
21/04/2021

3931-01-2-202104211414

ინდ. მეწარმე დავით ფხაკაძეს
მის: ქ. ქუთაისი, ჭუმბურიძის ქ. N24

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი სკრინინგის განცხადება (N4844; 19.03.2021), რომელიც ეხება ქ. ქუთაისში პლასტმასის (პოლიეთილენის) ნარჩენის გადამუშავებისა (ნარჩენების აღდგენის) და პლასტმასის ნაკეთობათა დამზადების სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 2000 მეტრს. საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 430 მეტრში ფიქსირდება დასახლება. შესაბამისად საწარმოდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში გადასამუშავებელი ნედლეული შეიძლება იყოს - პლასტმასის ტარა, შესაფუთი მასალა, პლასტმასის შემცველი საყოფაცხოვრებო ნივთები და ა.შ. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში განხილულია მხოლოდ ერთი სახის ნარჩენის გადამუშავების საკითხი. კერძოდ აღნიშნულია, რომ საწარმოში გადასამუშავებელი ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს- პლასტმასის შესაფუთ მასალას (კოდი 15 10 02). სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული სხვა სახის, გადასამუშავებელი, ნარჩენების შესახებ ინფორმაცია. მნიშვნელოვანია დასამუშავებელი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის, კოდის და დასახელების იდენტიფიცირება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის მიხედვით. ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ნარჩენების მახასიათებლების და წარმოშობის შესახებ;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმო ნედლეულად იყენებს პლასტმასის ნარჩენებს, რომელსაც იძენს სხვადასხვა მომწოდებლებისაგან. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოსთვის ნარჩენების მიწოდების, მათ შორის ნარჩენების იმპორტის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია, ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესის და გამოყენებული დანადგარების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია გადასამუშავებელი ნედლეულის ტრანსპორტირების და ტრანსპორტირების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, რომელიც საწარმოს პროფილის (ნარჩენების აღდგენა) და მდებარეობის (ქ. ქუთაისი) გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი საკითხია;
- სკრინინგის განცხადებაში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით არ არის მოცემული ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ხმაურის დონის დადგენის მიზნით შესაბამისი ხელსაწყოთი ჩატარდა ინსტრუმენტული გაზომვები. მოცემული შედეგების მიხედვით, საწარმოო უბანზე დღის განმავლობაში მოსალოდნელია 50-55 დბა ხმაურის გავრცელება. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს გავლენით მოსალოდნელი ხმაურის დონე ვერ გადააჭარბებს დადგენილ ნორმას, ვინაიდან - საამქრო დახურულ შენობაშია, რომელიც ხმაურს ამცირებს არანაკლებ 15 დბ-ით, ხოლო საწარმო უახლოესი საცხოვრებელი უბნიდან დაშორებულია 2000 მ მანძილით. ზემოაღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან - უახლოეს დასახლებამდე მითითებული მანძილი მნიშვნელოვნად განსხვავდება, საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგენილი (430 მ) მანძილისაგან;
- სკრინინგის განცხადებაში (გვ 9) აღნიშნულია, რომ საწარმოში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და საწარმოო ჩამდინარე წყლები, ამასთან გვ. 13-ზე აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიურ პროცესში არ წარმოიქმნება საწარმოო ჩამდინარე წყლები, რაც ურთიერთსაწინააღმდეგოა და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში დასაქმებულია მხოლოდ ორი ადამიანი. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში მოცემული მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქმიანობა დადებითი ხასიათის ზეგავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე საჭიროებს დაზუსტებას;
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და საჭიროებს დაზუსტებას;

სამინისტრო, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე